



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახიანი ზურაბ ვლადიმერის ძე

კახიანი ზურაბ ვლადიმერის ძე (10. II. 1929, ქუთაისი, – 6. VII. 2010, თბილისი), მსახიობი, რეჟისორი, ლიბრეტისტი. საქართვე. სახ. არტისტი (1990). 1955 დაამთავრა თბილ. თეატრ. ინ-ტი (პედ. დ. ალექსიძე). იმავე წლიდან მუშაობდა თბილ. ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრში. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: გია, კარაპეტა, ბარუხა (შ. მილორაგას „სიმღერა თბილისზე“, „ტუნნი“, „პაემანი ცაში“), ივანიკა (ვ. კურტიდის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, რ. ერისთავის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით), კუკური (გ. ცაბაძის „შესანიშნავი სამეული“), დულიტლი (ფ. ლოუს „ჩემი მშვენიერი ლედი“), ველი სულეიმანი (უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალან“), ოთარი (ვ. აბა-რაშვილის „შვიდნი ძმანი გურჯანელნი“), მეირო (გ. ჩლაიძის „ო, ადონაი“) და სხვ. 1965-იდან მისი რეჟისორობით დაიდგა სპექტაკლები: ს. ნასიძის „სტუდენტები“, ა. ივანოვის „ჩემი სიდედრი“ და „მხიარული მელოდიები“, მ. ჩირინაშვილის „ძველი თბილისის სურათები“, შ. მილორაგას „მე-13 შეხვედრა“ (ლიბრეტო ლ. ჭუბაბრიასი), დ. ტურიაშვილის „პეპი გრძელი წინდა“ (ლიბრეტო ზ. კახიანისა) და სხვ. მისი ლიბრეტოებით დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია „მოვდივართ და მოვიმღერით“ (საბავშვო სპექტაკლი-კონცერტი), „მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო“ (კომპ. შ. მილორაგა). კ-ის შემოქმედებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართულ სცენაზე მუსიკალური კომედიის, როგორც ჟანრის დამკვიდრებას.
